წერილის ნომერი: **18-01192612296**
თარიღი: **18/09/2019**
პინი: **8432**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა, თქვენი 2019 წლის 5 სექტემბრის #60-01192481535 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (გამწვანების პროექტი), რომლითაც მოქალაქე დავით რამინიშვილის განაცხადის (AR1695076) საფუძველზე ითხოვთ, შპს „ბი-ეს-არ-სი-დი-ჯი დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის N37-ის მიმდებარედ; ს.კ.: 01.14.14.005.163)(სზ-6) III კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის თანახმად, გამწვანებული სივრცის მოსაწყობად გათვალისწინებული, ტერიტორიაზე გადასარგავი 8 ძირი გადასარგავი ხე (აკაცია, თეთრი თუთა, თელა, ამერიკული ნეკერჩხალი, აილანთუსი, 2 ძირი შავი ფიჭვი, პირამიდული კვიპაროსი), ასევე დასარგავი 2 ძირი ცხენისწაბლას ნერგი და მიწის ნაკვეთზე შენარჩუნებული 11 ძირი საღი მწვანე ნარგავი (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარისა), სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**397.5** კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარე (სახეობა შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ასევე გაცნობებთ, რომ **განმცხადებელმა, გამწვანების საინფორმაციო ბანერის ესკიზზე დასარგავი მცენარეების გრაფას უნდა დაუმატოს მცენარეების ხნოვანების შესახებ ინფორმაცია.**

აქვე დამატებით, მოგახსენებთ, რომ დაინტერესებულმა პირმა, გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს, სამსახურის 2019 წლის 25 ივნისს გაცემული გადაწყვეტილების N18-01191763447 საფუძველზე განსაზღვრული, 1 ძირი საკომპენსაციოდ დასარგავი (3.5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგი, არანაკლებ 20 სმ გარშემოწერილობის მქონე) ნერგი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა

განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 19 03022989

12/11/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 11 ნოემბრის N60-0119315730 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.005.163) ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 24 ივლისის NMIA41901940032, 9 სექტემბრის NMIA71902382061 და 8 ოქტომბრის N MIA41902671193 წერილების საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა პროექტები სამი თვის ვადაში წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge